№ 99

პარასკევი, 13 მაისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 99

პარასკევი, 13 მაისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1894 ელსწ

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სათელეგრ. ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## მოამბე
### № I

ხელმეორედ დაიბეჭდა და ახალ ხელის მომწერლებს გაეგზავნებათ მეხუთე ნომერთან ერთად.

(5—2)

**კონკურსის მართველობა**, დანიშნული ვალების გარდახდის შეუძლებელ მსესხებლის იასონ სოფრომის ძის იოსელიანის საქმეების გასაგებად, ამით აცხადებს, რომ 13 ივნისს ამა წლისა დილის 10-ს საათზედ იგი შეუდგება საჯარო გასყიდვას 17 ნაჭერის ხსენებულის იოსელიანის ადგილისას, რომელნიც იმყოფებიან ქ. ბათუმში, ყარსის ქუჩაზედ 148, 149, 155, 156, 157, 160, 161, 164, 165, 168, 169, 172, 173, 176, 177, 180, და 181 №№-ბით, იმ გეგმით, რომელიც 1888 წელში იყო შედგენილი ინჟენერ-ტეხნოლოგის სინიცინისაგან. 2—1

„წიგნების გამომცემელის ქუთაისის ამხანაგობის“ წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია 25 მაისს, ოთხშაბათს, საღამოს 7-ს საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრების საგნები არიან:

1. განხილვა და დამტკიცება 1893 წლის ანგარიშისა.
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1894 წლისა.
3. გამგეობის მოხსენება.
4. 1893 წლის მოგების განაწილება.
5. მიღება ახალის წევრებისა.
6. არჩევა: გამგეობის, სარედაქციო და სარევიზიო წევრთა.

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა
**№ 8**
**ჰაერი და სითბო**
ქვიტკოვსკისა
ნათარგმნი გ. შარაშიძის მიერ
(15 სურათითურთ)
ფ ა ს ი 15 კ ა პ ე ი კ ი
წიგნი ისყიდება
საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, სადაც წიგნების ვაჭრობაა

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

### ტფილისი, 13 მაისს

ახლად ამორჩეულმა სათავად-აზნაურო ბანკის კრების თავმჯდომარემ, თავადმა ნიკოლოზ ანდრონიკაშვილმა პირველის სიტყვიდანვე, რომელიც მან წარმოსთქვა არჩევის შემდეგ, დაამტკიცა, რომ ჩინებულად ესმის თავისი მოვალეობა.

ეს თვისება თავადის ანდრონიკაშვილისა გამოაჩინა სხვათა შორის პატარა მაგალითმა: ბ-ნნი ყარანგოზიშვილი და ყაზბეგი თხოულობდენ, რომ თითოეული ორატორი უთუოდ სცენაზე ავიდეს და იქიდან ილაპარაკოს, თუ სასურველია, რომ წესიერება არ დაირღვესო.

ბ-ნი კეზელი-კი სულ სხვა აზრისა იყო და ამბობდა, რომ ჭეშმარიტად ახირებულია ყოველის ორიოდე სიტყვისთვის წევრმა მთელი დარბაზი გაიაროს და ავიდეს სცენაზე, იმიტომ, რომ ეს ორიოდე სიტყვა სთქვას; ნამდვილი წესის არევა ეს იქმნებაო. ისევ სჯობს ყველამ თავ-თავის ადგილიდან ილაპარაკოს, როგორც წინადაო.

თავმჯდომარემ მადლობა უძღვნა ბ-ნთ წევრთ რჩევისათვის და მოახსენა კრებას, რომ თუ ეს საგანი სადაოდ წარმოსდგა, მაშინ მე თითონ გამოვარკვევ, როგორ მოვიქცეო.

უნდა ვსთქვათ, რომ უკეთესი პასუხი შეუძლებელიც იყო, რადგანაც როგორც ორიოდე სიტყვისთვის არა ღირს სცენაზე სიარული, ისე ადგილიდანაც წარმოსთქმა დიდის სიტყვისა, არ არის მოხერხებული და არც სადმე მიღებულია კრებაში.

მაგრამ ყველაზედ უფრო საყურადღებო არის სიტყვა და მოსაზრება ექიმის გაბაშვილისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ „კომიტეტის წევრი თავის ნების გარეშე მიემხრობა ან ერთს, ან მეორე მომხრესაო, ამიტომ სჯობს საზოგადო კრების თავმჯდომარედ რომელიმე წევრი ავირჩიოთ, და არა ზედამხედველ კომიტეტის წევრთაგანიო. ექიმი გაბაშვილი სხვათა შორის თავის მოსაზრებას იმითიც ასაბუთებდა, რომ ეს წესდების წინააღმდეგი იქნებაო.

პირველი, რომ ეს წესდების წინააღმდეგი არაფრად არის. ეს იქიდანაც სჩანს, რომ წინად ამავე საზოგადო კრების თავმჯდომარედ იყო იგივე თავმჯდომარე კომიტეტისა, და ქუთაისში ახლაც ხომ კომიტეტის თავმჯდომარეა საზოგადო კრების გამგებლად.

ბ-ნის ექიმის აზრი არც მეორე მხრით არის ჭეშმარიტი. თუ შესაძლებელია ზედამხედველ კომიტეტის წევრის შესახებ იქნას შეტანილი ეჭვი, რომ იგი ძალა-უნებურად მიუდგება რომელსამე მხარეს, და სამართლის სასწორს გადაჰხრის, მაშინ გვიბრძანოს ბ-ნმა გაბაშვილმა, რატომ ამ გვარივე ეჭვის აღება აღარ შეიძლება საზოგადო კრების წევრის შესახებაც, რომელიც შესაძლებელია ძალიან უეჭველი მომხრეც იყოს ერთის რომელისამე დასისა!

აქ სულ არ არის მოსაყვანი საბუთად ის გარემოება, ვითომ კომიტეტის წევრი საეჭვო იყოს და საზოგადო კრების წევრი-კი არა. სამართლიანი კაცი ყოველთვის და ყოველგან სამართლიანია და თანამდებობა ვერ შეუშლის მოვალეობის ასრულებას.

მეველე

## ახალი ამბავი

*** შინაარსი „მოამბის“ მე-V №-სა, რომელიც გამოვა ხვალ (14 მაისს):

I „ლაზარემ გადააჭარბა“ — მოთხრობა ანასტასია ერისთავისა, II ***— ლექსი ცახელისა, III „ტარტარენ ტარასკონელი“—მოთხრობა ალფონს დოდესი, თარგმანი ი. მ—ნისა (გაგრძელება), IV „შერისხვა“ — ამბავი დავ. კლდიაშვილისა, V „ანდრე კორნელი“—რომანი პოლ ბურჟესი, თარგმანი გრ. ყიფშიძისა (გაგრძელება), VI „† ეგნატე ნინოშვილი“, VII „საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო“—ისტორიული წერილები ვ. პოტტოსი, თარგმანი, VIII „ღვინის დაყენება“—II ტკბილი—პროფესორი ვ. პეტრიაშვილისა (გაგრძელება), IX „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“—წერილი პირველი ნ. ჟორდანიასი, X „სალიტერატურო შენიშვნები“—ა. ნ—ისა, XI შინაური და უცხოეთის მიმოხილვანი ნ. ნიკოლაძისა.

*** პარასკევს, 13 მაისს დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების სხდომა.

*** 9 ამა მაისს, ძაღლის უბანში იაგორა ტანიაშვილის სახლს მეხი დაეცა; კედელი ჩამოანგრია; ტანიაშვილის ცოლს მხოლოდ მარჯვენა მკლავი ცოტათი დაეწვა—მეტი ზიანი არ მოუტანია, სახლის პატრონმა არც დღეს იცის ეს ამბავი, რადგან სამუშაოდ არის თურმე წასული სადღაც.

*** ჩვენ მივიღეთ მ. მ. კალისტ-

## ფელეტონი

### სამეგრელოს თავად-აზნაურთა წოდებრივ საქმეთა გარჩევა

ოცდაშვიდი წელიწადია, მას აქეთ, რაც კომისია დაინიშანა სამეგრელოს თავად-აზნაურთა წოდებრივ საქმეთა გასარჩევად (1867 წ.). სამეგრელოს გარდა კომისიას მინდობილი ჰქონდა სამურზაყანოს თავად-აზნაურთა წოდებრივი საქმენიც გაერჩია. კომისიის წევრებად იყვნენ არჩეულნი სამეგრელოსავე თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი, რომელთაც კარგად უნდა სცოდნოდათ, რა დიდი მოვალეობა იკისრეს. მაშინ იმ საქმის გარჩევა ისე ძნელი არ იყო, რადგანაც მაშინდელ მოხუცებულთ კარგად ეხსომებოდათ და ეცოდინებოდათ ყველას ვინაობა, ვინ ეკუთნოდა თავად-აზნაურთა ოჯახს და ვინ არა. თავიდამვე საქმე კარგად წავიდა, მაგრამ საუბედუროდ მალე კომისიის ზოგიერთმა წევრებმა დაუტევეს გზა მართალისა და ჭეშმარიტის ძიება და კვლევისა: ვეცხლმა სძლია სინიდისს და ანგარებამ—მოვალეობას მოძმეთა წინაშე. კომისია მოქმედობდა წელიწად ნახევარი, თუ ორი წელიწადი და საქმე ერთიანად აურია.

რასაკვირველია, ყოველივე ეს არ დარჩა შეუნიშნელი. გუბერნატორმა გრაფმა ლევაშოვმა გამოიკვლია საქმე და, დარწმუნდა რა რომ ზოგიერთი დეპუტატი შეუსაბამოდ მოიქცა გააუქმაეს კომისია და თითონ დანიშნა ახალი კომისია, რომელმაც ჩაჰრიცხა სამეგრელოს უწარჩინებულესნი მოხუცნი. ამ კომისიამ ბევრი წინანდელ კომისიის მიერ თავად-აზნაურთა ცნობილი გამორიცხა სიიდგან, ამან გამოიწვია უსიამოვნება და გუბერნატორი იძულებული შეიქნა სრულიად შეეყენებინა მოქმედება ამ ახალის კომისიისაცა, ახალ განკარგულებამდე. დეპუტატები დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ოჯახში და კომისიის წევრნი დარჩნენ კვლავ უსაქმურად, ხოლო ჯამაგირს მაინც იღებდნენ. ლევაშოვი მალე გადაიყვანეს ქუთაისიდგან. მისმა მოადგილემ მალაფეევმა თუმცა ბევრჯერ აღუთქვა სამეგრელოს თავად-აზნაურთ, გავარიგებ თქვენს საქმესაო, მაგრამ ისიც ისე იქმნა გადაყვანილი რომ დანაპირები ვერ აღასრულა.

შემდეგმა გუბერნატორმა, უკვე გარდაცვალებულმა სმეკალოვმა, თავად-აზნაურობის თხოვნა შეიწყნარა და წარადგინა თავისი აზრი, სადაც რიგი იყო. სმეკალოვი ამტკიცებდა, რომ სამეგრელოში თავად-აზნაურნი არ არიანო და რომ სულაც არ იქმნებოდნენ, უკეთესი იქმნებაო, ყველანი დროებით ვალდებულ გლეხებად უნდა ჩაირიცხონო. სმეკალოვს უკან არ ჩამორჩენია შემდეგი გუბერნატორი, უკვე გარდაცვალებული გროსმანი, რომელსაც ისეთივე მოხსენება მიურთმევია მთვარ მმართველისათვის როგორც სმეკალოვს, ხოლო ცოტა უფრო თავაზიანი თავად-აზნაურთა შესახებ. თავადი დონდუკოვი კარსაკოვი არ დასთანხმებია პირველისა და არც მეორეს მოხსენებას და თავისი განსაკუთრებული აზრიც წარუდგენია სამინისტროსათვის, თავად-აზნაურებად ის გვარნი იქმნან ცნობილნი, რომელნიც ორთავე კომისიის გამოკვლევით კეთილ-შობილებად არიან ცნობილნიო.

კარგმა ხანმა განვლო მას აქეთ, მაგრამ მაინც ვერ დაბოლოვდა ეს საქმე. მოახდინეს რამდენჯერმე სამეგრელოში თავად-აზნაურთა კრება, ეცადნენ კიდეც გაეგზავნათ კაცები პეტერბურგში, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა, საქმეს სრულიად არა ეშველა-რა. როდესაც ქუთაისში სარევიზიოდ ჩამოვიდა სასჯულო საქმეთა მინისტრი მანასეინი, სხვათა შორის, სამეგრელოს თავად-აზნაურთა გარემოებაც გამოიკითხა. რასაკვირველია, ჰკითხავდა იმათ, ვინც დაახლოვებული იყო მასთან. მინისტრმა აქ გაიგო, რომ სამეგრელოში მხოლოდ ისინი უნდა ჩაითვალოს თავად-აზნაურებად, ვისაც მთავრების სიგელი აქვთო, რადგანაც სამეგრელოში უამისოდ მეტის-მეტად ბევრი თავად-აზნაური გამოვაო.. მინისტრიც სწორედ ამ აზრს დაადგა. ის კი არავინ მოახსენა მინისტრს, რომ ბევრი არიან სამეგრელოში იმისთანა თავადნი, ანუ აზნაურნი, რომელთაც არა ვითარი სიგელი მთავრისა არ მოეპოვებათ და რომ არც ყოფილა მაგალითი სამეგრელოს მთავარს გაეთავადებინოს ვინმე ოდისში. პირ-იქით, არიან იმისთანა თავადთ გვარნი, რომლებიც დადიანების გამთავრებამდე სრულიად დამოუკიდებელ თავადებად ყოფილან და „ქართლის ცხოვრებაშიაც“ მოხსენებულნი არიან. მაშასადამე ამათთვის მთავრის სიგელები არც იყო საჭირო. მართალია, მთავრისაგან ბევრს ოჯახს აქვს გლეხთა და მამულთა ბოძებისა, ანუ რაიმე ადგილზედ დანიშვნისა და სხვა ამ გვარი წყალობის სიგელი, მაგრამ ეს მხოლოთ იმათ ექმნებათ, ვისაც განსაკუთრებით სწყალობდა მთავარი, ხოლო ბევრნი იყვნენ თავადნი და მათი აზნაურებიც, რომელთაც მთავრები სდევნიდნენ და მუხანათობას სწამობდნენ კარის კაცების დაბეზღებით. რა თქმა უნდა, ამათ არავინ მისცემდა რაიმე სასიკეთო საბუთს. ამ ნაირად მრავალი ოჯახია ნამდვილის თავდებისა და აზნაურებისა უსიგელოდ.

ყველა გვარები ოდიშის თავადებისა და ოთხი გვარი აზნაურებისა, რომელთ წარმომადგენელთ დაუფიცნიათ რუსეთის ქვეშევრდომობაზე სამეგრელოს მთავარ გრიგოლთან ერთად ჩარიცხულ არიან რუსეთის თავად-აზნაურთა შორის, გარდა სამურზაყანოს თავად აზნაურობისა, რომე-

რატეს მიერ გამოცემული წიგნაკი, რომელსაც ეწოდება „ხონი! მონასტერი და მისი ისტორიული წყარო" 1089—1125 წ.

*** ოთხშაბათს, 11 მაისს, საღამოზედ ქალაქში სეტყვა მოვიდა. ამ სეტყვას სოლანლუღისაკენ სხვილი სეტყვა მოჰყვა და სულ ერთიანად ჩარეცხა ნათესობა. მიწასთან არის გასწორებული მწვანილეულობა და ვაზები ხომ ფურცელი აღარა აქვს შერჩენილი.

*** Церковный Вѣстникъ"-ის მე 18 №-ში მოყვანილია ფრიად საინტერესო განკარგულება სამარის მღვდელ მთავრისა. სამარის ეპისკოპოსს ერთი ბლოღოჩინთაგანის მოხსენების გამო საჭიროდ დაუნახავს ვალდებულ ჰყოს მღვდელ-მსახურნი, რომელიც ემსახურებიან უცხო ტომთა სამრევლოში (въ инородическихъ приходахъ), რომ იცოდნენ ენა თავიანთ მრევლისა და გამოიყენებდნენ ამ ცოდნას მათდა სარწმუნოებრივ—ზნეობრივად განსაკარგებლად. კონსისტორიამ, აღსასრულებლად ამ განკარგულებისა, აცნობა სამარის ეპარქიის სამღვდელოებას, რომ მღვდელმსახურთა დავალებული აქვსთ აუცილებელ მოვალეობად შეთვისება თავიანთის მრევლის სალაპარაკო ენისა, რათა ამ საშუალებით შეეძლოთ მათ დახმარება გაუწიონ მრევლის სარწმუნოებრივად განმტკიცებას.

სამარის უცხო ტომთა მრევლნი, ეჭვი არ არის, დიდის აღტაცებით მიეგებებოდნენ მწყემსთ მთავრის ასეთს მამობრივს მზრუნველობას.

*** 11 მაისს პოდპოლკოვნიკის მეუღლემ სოფიო იოსელიანისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ შუადღისას ლაბორატორის ქუჩაზე სახლის აივნიდგან, 177 მან. ღირებული ქალის ხუთი პალტო მამპარესო.

*** 12 მაისს პოლიციის ქუჩაზე ეკატერინე აგორონოვის სახლი ჩამოინგრა. სახლი სიძველის გამო წინადვე დაცალიერებული იყო.

## დამაკვირდი

—

დიდებულია მხოლოდ იგი, რაც ხანგრძლივია, და ხანგრძლივი კი იგია რაც სამართლიანია.

ფერრან

**

აპრილი ვარდსა ჰზრდის, მაისს-კი მადლობას უხდიან.

დირიგსფელდი

**

სამნი ტკბილად მხოლოდ მაშინ ცხოვრობენ, როდესაც ორნი შინ არ არიან.

ინგლის. ანდაზა

ქიათურა. 9 მაისი. დიდათ შეგვაწუხა ჩვენის ნიჭიერის ბელეტრისტის—ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) უდროვოდ დაკარგვამ... ამ თვის 8 მღვიმევის დედათა მონასტერში პანაშვიდი გადავიხადეთ მისმა ნაცნობებმა და პატივისმცემელებმა. ერთმა ახალგაზდამ სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც აქავე მოგვყავს.

### სიტყვა,

„ვინც თვის მამულზედ მარად ჰფიქრობდა
და სამშობლოსთვის უძგერდა გული,
მისი სახელი უკუნისამდე
იყოს მაღალი და კურთხეული!"

აკაკი

ჩვენმა საზოგადოებამ უდროვოდ დაჰკარგა ნიჭიერი მამულის შვილი, რომელსაც მოძმეთა საკეთილდღეოდ არ დაუზოგავს თავისი ძალ-ღონე, ნიჭი და ენერგია!.. შეიძლება ბევრი თქვენთაგანი არც-კი იცნობდა მას, არც პირადად და არც მისი ნაწერებითა. ეს გასაკვირველი არ არის, რადგან ჩვენთა მოღვაწეთა და უნიჭიერესთა თანა-მემამულეთადმი გულ-გრილობა ჩვენ ჩვეულებად გადაგვექცა! ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირად ვერ ვაფასებთ იმ პირთა ღვაწლს და დაუფასებელ შრომას, რომელთა ამოქმედებს არა ჯილდოს მოლოდინი, არა პატივისა და დიდების მოპოვება, არამედ ჩვენდამი უზომო სიყვარული... იგინი—თვით მშიერმწყურვალნი,—მუდამ მზად არიან უკანასკნელი ლუკმაც-კი გაუყონ ღარიბთა და გაჭირვებულთა!.. აი, ასეთს სასიქადულო პატიოსანს, ქვეყნისთვის თავ-დადებულს გუნდს ეკუთვნოდა განსვენებული ეგნატე ნინოშვილი. შთამომავლობით იგი არ ეკუთვნოდა ისეთს ბედნიერ გუნდს, სადაც ფუფუნებაში იზრდებიან ხოლმე; მისთვის ერთხელაც არ გაუღიმნია ბედს, პირ-იქით, გასაჭირსა და განსაცდელში აგდებდა მუდამ განსვენებულს... მაგრამ არის ადამიანი, რომელსაც ვერარა გაჭირვება და განსაცდელი ვერ გასტეხს და დააძაბუნებს! განსვენებულიც ამ გვართაგანი იყო. მართალია, იგი ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო და სალიტერატურო ასპარეზზე ახალად გამოსული, მაგრამ მას მაინც საყურადღებო დამსახურება მიუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე... ვისაც არ წაუკითხავს განსვენებულის მოთხრობები „სიმონა", „პალეოს ტომის ღბა" „მოსემწერალი" და სხვა,—იგი ვერ წარმოიდგენს, თუ რა საგრძნობელი დასაკარგი დაჰკარგა ჩვენმა ნორჩმა მწერლობამ ახალგაზდა ნინოშვილის უდროვოდ გარდაცვალებით... მისს ნაწერების გაცნობა მკითხველს შთაუნერგავს სიყვარულსა და პატივისცემას იმ პირთადმი, რომელთაც ჩვენი სატკივარი სტკივათ და სალხინო ალხინებსთ, განსვენებულის ნაწერებში შეხვდებით ჩვენის მდაბიო ხალხის ყოფა ცხოვრების ნამდვილს სურათს, გაიგებთ მისს გაჭირვებასა და დალხინებას, გაიცნობთ მისს მტერსა და მოყვარეს... და ეს ყოველი რასაკვირველია, დაგვაფიქრებს, საქმეს დაგვაკვირვებს და ძალ-ღონეს შეგვმატებს, რომ წინააღვუდგეთ უსამართლობას და შემავიწროებელ გარემოებათა.

აი, ასეთი ჩვენი ერთგული და ჩვენთვის თავ-გამოდებული ადამიანი დავკარგეთ სამუდამოდ!.. იმას დღეს მიიბარებს მისს სამშობლო გურიაში შავი და გაუმაძღარი მიწა!.. იქ ყველა მისი ნაცნობნი და პატივისმცემელნი მდუღარე ცრემლებს აფრქვევენ მისს უდროვოდ გაცივებულს გვამს,—და ჩვენ აქედან, მისის საყვარელის მამულის ერთ-ერთ კუთხიდამაც, მივაწვდინოთ მას ჩვენი ცრემლები და მწუხარება, რადგან ჩვენისთანა მცირე რიცხოვან ერს სატირლად უნდა მიაჩნდეს ასეთის გულწრფელის, პატიოსანის და ნიჭიერის მამულის შვილის უდროვოდ დაკარგვა...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაჩაგრულთა თანამგრძნობელო ეგნატე!.."

გულდაწყვეტილი

ქიათურა მაისი 9

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის კრება

12 მაისს

კრება გაიხსნა შუადღის 1 საათზე. თავმჯდომარემ ზედამხედველი კომიტეტისამ უგ. თავადმა პ. გრუზინსკიმ გამოაცხადა, რომ, რადგანაც გამოცხადდნენ 204 წევრი—საკმარისი და კანონიერი რიცხვი, ამისათვის სხდომას გახსნილად ვსთვლითო. შემდეგ ამისა გთხოვთ ამოირჩიოთ თავმჯდომარე კრებისა. (ყვირილი: მუსხელოვი! მუსხელოვი! ჭავჭავაძე! მუსხელოვი!..) თ. ზაქარია ჭავჭავაძე უარს აცხადებს თავმჯდომარეობაზედ. ბ. მუსხელოვი სთანხმდება და კიდევაც ამოვიდა კიბეზედ, რომელსაც სცენაზე მოჰყავდა,—ამ დროს თ. ვლ. მიქელაძე ამბობს: ბ. თავმჯდომარევ, მე ჩემი კანდიდატი დავასახელე და ამისათვის მე ამ კითხვის კენჭით გარდაწყვეტასა ვთხოულობ (ყვირილი: კენჭი, კენჭი, არა, არა!..)

თავმჯდომარე. რადგანაც თხოულობენ კენჭს, ამისათვის ერთმაც რომ ითხოვოს, მე წესდების ძალით ნება არა მაქვს უარი ვუთხრა (შეიქმნება ხმაურობა და დრტვინვა).

თავმჯდ. (მუსხელოვს) თქვენ ხომ გნებავთ, რომ კენჭი იყაროს?

მუსხელოვი. უთუოდ, რადგანაც ეგ ჯილდო-კი არ არის, არამედ შრომაა. (ასახელებენ: ნ. დ. ანდრონიკაშვილს, დ. გურამიშვილს, დ. ი. მუსხელოვს, ფილო ყაზბეგს და ი. რ. ვაჩნაძეს).

თ. ზ. [ანდრონიკაშვილი. ბბ. ეგ არის აზნაურობის კრება! რიგიანობა უნდა იყოს და ჩვენ-კი არც ის ვიცით და არც კანონი! ეს არის აზნაურობის კრება და ყველგან მიღებულია ამისთანა ადგილას იყოს თავმჯდომარედ—თავმჯდომარე ზედამხედველი კომიტეტისა. (ყვირილი: გთხოვთ! გთხოვთ! არა! არა!..)

თავმჯდომარე. რადგანაც სხვებმა უარი განაცხადეს, ამისათვის უნდა იყაროს კენჭი ორს: ნ. დ. ანდრონიკაშვილს და დ. ი. მუსხელოშვილს. შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ დღეს მხოლოდ ყველას თითო კენჭი ექნებათ, რადგან ვექილობანი ჯერ კიდევ სრულად არ არიან განხილულიო. (შეიქნება ყვირილი: ანდრონიკაშვილს, როგორც წევრს ზედამხედველის კომიტეტისას არა აქვს ნება იყაროს კენჭიო). თავმჯდომარე უკითხავს წესდებას და უხსნის კრებას, რომ კანონში არავითარი მაგ გვარი აღკრძალვა არ არის მაგის შესახებო მ. მაჩაბელი—წესდებაში არც მმართველობის წევრებზედ არის რამე, მაგრამ მე მგონია იმათ არ შეუძლიანთ თავმჯდომარეობა კრებისა!

თავმჯდომ. თუ-კი თავმჯდომარეს ზედამხედველ კომიტეტისას შეუძლიან იყოს კრების თავმჯდომარედ, რაც ბევრჯელ ყოფილა, წევრს ამა კომიტეტისას რატომ არ უნდა შეეძლოს?

დ. ავალიშვილი (წევრი გამგეობისა). წესდება პირდაპირ ნებას გვაძლევს, რომ თავმჯდომარედ კრებისა ამოვირჩიოთ თავმჯდომარე, თუ გინდა წევრი ზედამხედველის კომიტეტისა. (ყვირილი: მაშ თქვენ, თქვენ, ბრძანდებოდეთ.)

ექიმი გაბაშვილი: მე მგონია, რომ კრების თავმჯდომარედ უნდა იყოს ამორჩეული სრულიად გარეშე კაცი; უნდა იყოს, მისათვის რომ წევრს ზედა-მხედველი კომიტეტისას, ვინც უნდა იყოს, კრებისაგან სხვადა-სხვა კითხვების გარდაწყვეტის დროს, შეუძლიან თვის ნების გარეშე, მიემხროს ან ერთს და ან მეორე მხარეს, ამისათვის, მე მგონია, თვით მათ არ უნდა ინებონ და გარდაიყენონ თვისთავი ამ მინდობილებისაგან. (მართალია, მართალია!)

ნ. ანდრონიკაშვილი. მე ნება არა მაქვს წინ აღვუდგე საზოგადოების დავალებას და უარი ვსთქვა ამაზე! დიაღ მე არავითარი ზნეობითი ნება არა მაქვს და ამისთვის ჩემდა თავად უარს არ ვაცხადებ. (მ. მაჩაბელი სიტყვას ითხოვს, მაგრამ თავმჯდომარე სიტყვას არ აძლევს).

დაიწყეს კენჭის ყრა. მ. მაჩაბელი კენჭის ყუთების დათვალიერებას თხოულობს.

ლიც მიეწერა აფხაზეთის სამთავროს აზნაურობას და აქ უნდა იქმნას გარჩეული მათი ღირსება და წოდებრივი საქმე! აქედგან ცხადადა სჩანს, რომ ოდიშში ყოფილან და არიან თავად-აზნაურნი. ამის უარ ყოფა უარ ყოფაა სიმართლისა. ხოლო ახლა ყველა მაღალ წოდების მაძიებელი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ შთამომავალნი, ანუ ახლო ნათესავნი არიან იმ ოჯახებისა, რომლებიც უკვე ცნობილი არიან თავადებად და აზნაურებად. ამისათვის საჭიროა წარადგინონ სიგელები და მასთან მეტრიკისა და აღსარების მოწმობა. სიგელი ათში ერთს მაინც აქვს და მეტრიკის მოწმობები კი—არავის. ძველ მღვდელთაგანს ბევრს წერა არ სცოდნია და რანაირად შეადგენდა მეტრიკასა და ახსარების სიას. მე თითონ მახსოვს სამოც წლეპში ჩვენი კარის ეკკლესიის მღვდელი მოხუცი პეტრე, რომლის მოვალეობას მხოლოდ განუწყვეტელი წირვა-ლოცვა შეადგენდა და ხელის მოწერაც კი არ იცოდა; იცოდა მხოლოდ ხუცური კითხვა. თუ საჭიროება მოითხოვდა, ხელის მოწერის მაგიერ ჯვარს დასვამდა ქაღალდზედ და ეს მაშინ საკმაო საბუთი იყო. მთელს ოდიშში პეტრეს მზგავსი მრავალი იყო. სამეგრელოში შემოღებულ იქმნა მეტრიკისა და აღსარების სიის შედგენა 1845-ს წ., მაგრამ ვინც იცოდა წერა-კითხვა, ისიც არ დასდევდა ამ საქმეს, რადგანაც ჩვეულნი არ იყვნენ და თითქმის სამოციან წლებამდის ამ სიებს რიგიანად ვერ აწარმოებდნენ.

ვინც-კი დაიბადა 1845-ს წლის შემდეგ, ყველასათვის სავალდებულოა მეტრიკის წარმოდგენა დეპუტატთა საკრებულოში. დანარჩენებმა-კი შეიძლება მხოლოდ აღსარების მოწმობა წარადგინონ. ახლა წარმოიდგინეთ, ეს ოთხი წელიწადია, რაც სცდილობს სამეგრელოს თავად-აზნაურობა ამ მოწმობათა შოვნას და ჯერ ერთს მეათედსაც არა აქვს გამოტანილი, მაშინ როდესაც, მგონია ათი თვე-ღა არის დარჩენილი ვადამდე ამ საბუთების წარსადგენად და განსახილველად. რანაირად შეიძლება თავად-აზნაურობის ცხრა მეათედისათვის მოასწროს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორამ, გამოიძიოს სოფლებში მთხოვნელთა დაბადებისა და ნათლობის საქმე, ანუ რანაირ უნდა მოასწროს გარჩევა აღსარების სიებისა, ამოწერა ყოველ ამისა და მთხოვნელების დაკმაყოფილება? სინოდის კანტორას, სამეგრელოს საქმეებს გარდა, კიდევა აქვს საქმე მთელ ქართლ-კახეთ-იმერეთისა და ყველა თვის მოხელეებს ხომ არ მოანდომებს სამეგრელოს საქმეს, თუმცა მაშინაც დიდად საეჭვოა, რომ თავის დროზედ ყველას მოესწროს საჭირო მოწმობა. ამასთან უნდა გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ სინოდის კანტორას დაუდგენია, ამას შემდეგ არ მოახდინოს გამოძიება 1845 წლამდე დაბადებულ-გარდაცვალებულთა შესახებ, რადგანაც ეს მეტად სამძიმოა და კანტორა ვერ ასდის; ასეთი ცნობანი-კი აუცილებლად საჭიროა იმათთვის ვისაც მამაპაპისსახელზედ სიგელები აქვს და მხოლოდ უნდა დაამტკიცოს, რომ იმათი შვილი-შვილია და მამა მის ნამდვილად სიგელის პატრონის შვილია. უკეთუ ეს გადაწყვეტილებაც კანტორისა არ შეიცვალა, ესეც ხომ ახალი დამაბრკოლებელი მიზეზი იქმნებაო.. მაშასადამე, უმეტესი ნაწილი ვერ წარადგენს აღნიშნულ ვადამდე კანონიერ საბუთს და მაშინ ხომ ყველანი დროებით ვალდებულ გლეხებად ჩაიწერებიან და ამგვარად მოისპობა თავად-აზნაურთ წოდების ნაწილი ოდიშში, რომელიც სხვებთან ერთად, ვინიცის, რამდენი ასი და ათასი წელიწადი უძღოდა წინ თავის ხალხს და ჰპატრონობდა, იცავდა გარეშე მტრისაგან მამულს და სარწმუნოებას. ეს წოდება ეხლა უნდა გაჰქრეს ათის თვის შემდეგ სამეგრელოში.

გარდა ზემოხსენებულ დაბრკოლებათა,რომლის გამოც სამეგრელოს თავად-აზნაურობა თავის დროს ვერ მოახერხებს საბუთების წარდგენას, არის კიდევ მრავალი სხვა დამაბრკოლებელი გარემოებაც და სხვათა შორის ისიც რომ ამ საქმეს განსაკუთრებული მიყოლ-მოყოლა და დიდი ხარჯი უნდა, რაც ამ ჟამად მეტად გასაჭირია ზოგიერთისთვის და შეუძლებელიცა, რადგანაც ერთად-ერთს სიმდიდრეს სამეგრელოისას—სიმინდს— გასავალი არა აქვს.

რითი და როგორ მოევლება ამ საქმეს?

აი ამაზედ ჰმართებთ ფიქრი ჩვენს წარმომადგენლებს და სწორედ რომ მარჯვე დროც ეხლაა. ქუთაისში დაიწყო კიდეც თავად-აზნაურთა კრება. ჩემის აზრით, სამეგრელოს თავად-აზნაურობამ უნდა მიჰმართოს ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლს და სთხოვოს, რომ გუბერნიის დეპუტატთა კრებამ იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობის წინაშე, რათა სამეგრელოს თავად-აზნაურობის წოდების მაძიებელს მიენიჭოს კიდევ ერთი ანუ ორი წელიწადი ვადა საბუთების წარსადგენათ და თავის ღირსების გამოსაკვლევად.

სრული იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დიდის გულ-მოდგინებით დაეხმარება სამეგრელოს კეთილ-შობილთ და ეცდება არ დაეკარგოთ ის უფლება, რომელსაც სამეგრელოს სახელოვანი თავად-აზნაურობა მრავალ-საუკუნეთა განმავლობაში ღირსეულად ატარებდა და ეხლა-კი დროთა ვითარებით საეჭვოდ გამხდარა თვით მისი არსებობაც-კი.

თავ. გიორგი ჩიჩუა

კენჭის ყრის დროს ყუთებთან დამსწრედ კრებამ აღირჩია: დ. გეზელი, ი. ჯორჯაძე დალ. ვაჩნაძე. ხმის უმეტესობით იქმნა თავმჯდომარედ არჩეული ნ. დ. ანდრონიკაშვილი (თეთრი 160 და შავი 95); (მუსხელოვს თეთრი 126 და შავი 129).

ახლად არჩეული თავმჯდომარე თ. ანდრონიკაშვილი: ბ-ნებო! ეხლანდელის ჩემის თქვენგან არჩევით თავმჯდომარედ კრებისა, თქვენ აღმომიჩინეთ პატივი და ყურადღება, რისათვისაც გწირავთ გულითად მადლობას! მაგრამ ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არჩევა არის ჩემთვის, არა იმოდენად პატივი, რამოდენადაც ბეგარა და ამ ბეგარას მე მხოლოდ დავუმძიმებლად და ადვილად აღვასრულებ, თუ თქვენის მხრით, ბატონებო, მექმნება შემწეობა წესიერების დაცვაში. მხოლოდ წესი, წესიერად განხილვა კითხვებისა მიგვაღწევინებს სიმართლემდის და ვისაც მართლა გული შესტკივა საზოგადო საქმისათვის,—ამ სიმართლის მისაღწევად შემწეობას აღმოგვიჩენს. მართალია—კანონით უფლება კრების თავმჯდომარის, ამ შემთხვევაში, ფართოა და ვრცელი, მაგრამ სასურველი იქნებოდა, რომ არ დამჭირდესამ უფლებათა გამოყენება! ამისათვის გთხოვ ამ შემთხვევაში არ მომაკლოთ თქვენი შემწეობა, რომელიც ერთს საგნამიდის მიგვიყვანს!.. (ვაშა. ვაშა...)

ეხლა ვაცხადებ, რომ ყოველი კითხვების გარდასაწყვეტად მე დავიწყებ კრების სხდომას დილის 10 საათზე დავაბოლოვებ ნაშვადღევის 3 საათზე, როგორ მდგომარეობაშიაც უნდა იყოს განსახილველი საგანი.

გ. ყარანგოზიშვილი. მე მინდა ის მოგახსენოთ, რომ ინებოთ და მიიღოთ ის წესი, რომ, როდესაც რომელიმე ორატორს ჰსურს ისაუბროს რომელსამე კითხვაზე,—გამობრძანდეს ესტრადაზე და ისე ბრძანოს, თორემ აქ არეულება ხდება იმითა, რომ ავარდებიან ერთი იქიდამ იძახის და მეორე აქედამ (ვაშა!..)

თავმჯდომარე. ეხლა, ბატონებო, იქნება წაკითხული წლიური ანგარიში.

ფ. ყაზბეგი. მე სრულიად თანახმა ვარ ბ-ნ ყარანგაზოვის აზრისა; ერთი მისათვის, რომ სათეატრო დარბაზი ისეა მოწყობილი, რომ ხმა სიმაღლიდამ უფრო ისმის და მეორეც, ორატორის სიტყვას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მაშინ როცა, თვალყურს ადევნებთ ყოველ მის მოძრაობას, ვიდრე მაშინ, როცა მარტო ზურგსა ხედავთ.

დ. გეზელი. აქ საჭიროა სიტყვა და არა თეატრული მოვლენანი და ის-კი, რომ ვინმე ესტრადაზე გამოვიდეს თეატრულ მოვლენას ემსგავსება. იქნება ვისმე ერთი-ორი სიტყვის თქმა ჰსურს და სანამ ის ესტრადამდე მივიდოდეს ერთი საათი გავა. როგორც ამ ოცის წლის განმავლობაში ვისმენდით საუბარს, ისე მოვისმინოთ. (ხმა: ვისაც ჰსურს—გაბრძანდეს და ისე ისაუბროს).

თავმჯდ.—გმადლობთ რჩევისათვის და მივიღებ მაგას სახეში, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ წესის დადგენა კრებისათვის—ეს თავმჯდომარის საქმეა...

მერე წაკითხულ იქმნა ანგარიში, რის შემდეგაც სხდომა დღეს დილის ათს საათამდე გარდასდეს.

(შემდეგი იქნება)

## სახელდახელოდ

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

12 მაისი

დღეს დაიწყო ბანკობანა... სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზი ჯერ ისე არ არის გავსებული... ნამდვილი მეკენჭოსნები მაინც ბოლოს ჩამოვლენ ხოლმე, მაშინ, როდესაც არჩევანებია, ასე რომ იმათ ბანკის საქმის გარჩევა-კი არ მიაჩნიათ საყურადღებოდ, არამედ კანდიდატების არჩევა.

დღეს ჩამოსულნი შორიდგან ჯერ-ჯერობით ცოტანი არიან. უფრო ქალაქს მცხოვრებნი, მოსამსახურენი და მოხელენი დასწრებიან კრებას. ჩოხა, მუნდირი და სერთუკი ერთმანეთშია ფერადად აჭრელებული. კრება დიდად დინჯად, თავ-დაჭერით არის. ენა ჯერ არ გალესილა, გაცხარება და გამწვავება არავის ეტყობა: გული გულის ალაგას არის დაყენებული. აქა-იქ მხოლოდ ჭაბუკნი, ნორჩნი ცეცხლს იკიდებენ და რაღასაც გაიძახიან გაცხარებით, მაგრამ ისიც იმიტომ, რომ თავი გამოიჩინონ,—მეც აქა ვარ, მნახეთო.

ლოჟები ჩვეულებისამებრ ქალებს აქვთ დაჭერილი, მაგრამ არა ისე ჭარბად. უფრო ბლომად შაპოსნები არიან, ჩიქილა მხოლოდ ალაგ-ალაგ სჩანს: შაპო სჭარბობს ჩიქილას. კრებაში ჩოხოსანი უფრო ბევრია, ვიდრე ჩიქილოსანი, რაც აშკარად ამტკიცებს, რომ ქალები უფრო მალე აჰყვებიან ხოლმე მოდას, ვიდრე კაცები.

ქანდარიდგან მხოლოდ თითო-ოროლა კაცია მოსჩანს.

სცენაზედ ჩვეულებრივ შუა ალაგი ზედამხედველ კომიტეტს უჭირავს, სცენიდგან მარცხნივ—მმართველობას, მაგრამ არც ერთის წევრნი და არც მეორისანი თავის ადგილზედ გულმოდგინედ არა სხედან. უფრო ბეჯითობენ მარჯვენა მხარეს მსხდომარენი—ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენელნი, მაგრამ აქაც უხმოვანონი, უცხონი გამორევიან. ისეთებსაც-კი ჰნახავთ ამ წარმომადგენელთა შორის, რომელთაც თავისს დღეში გაზეთიც-კი არ წაუკითხავთ, არამც თუ კალამი აეღოთ ხელში...

საპატარძლონი ჯერ ცოტანი არიან ჩამოყვანილნი. უწინ თუ ხატობაში გაჰყავდათ ყმაწვილი, საქმროდ მოწიფებული ქალი, იქნება მოეწონოს ვისმეო, ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, ზოგიერთებს ბანკობანაზედ მოჰყავთ. როგორც ნამდვილის წყაროდგან ვიცით, შარშან ხუთი ქალი გათხოვილა. ვნახოთ, წრეულს როგორი მოსავალი იქნება.

თეატრის ფოიეში მაინც-კი დასეირნობენ წყვილ-წყვილად ახლად ულვაშ-აშლილნი და ახლად თმებ-დაწნულნი. ერთი ყმაწვილი კაცი უამბობს ქალს თავისის გრძნობის სიმხურვალეს და თან, თავისის ძლიერის სიყვარულის, აღსანიშნავად ჰფიცულობს:

— შენ გენაცვალოს მთელი ჩვენი ბანკიო!...

თავმჯდომარეს ირჩევენ კენჭის ყრით. ორი კანდიდატია დასახელებული: თავ. ნ. ანდრონიკაშვილი და ბ-ნი დ. მუსხელიშვილი. ყვირილია და ამ ყვირილში მუსხელიშვილის გვარი უფრო ხშირად ისმის მაგრამ, წარმოიდგინეთ, კენჭი ჰყარეს, და ანდრონიკაშვილს უფრო, გაცილებით უფრო მეტი კენჭი ამოუვიდა...

ვინც კენჭის ჩაგდებას რჩება, ბაღში გამოდის. გიორგის ბუფეტში ჭიანჭველასავით ირევა ხალხი. აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად არიან შეყრილნი ბაღში კენჭოსანნი და ჰლაპარაკობენ რომელი კრების სათავმჯდომარეო კანდიდატი უფრო სასურველია, რომ ამორჩეულ იქმნასო. ზოგს ერთი უნდა, ზოგს—მეორე. აგერ ერთი კენჭოსანთაგანი მივიდა ბუფეტთან და გიორგი ეკითხება:

—გიორგი, შენ რას იტყვი, რომელი უფრო სჯობია, რომ ამორჩეულ იქმნას, თ. ანდრონიკაშვილი თუ მუსხელიშვილი?

— არც ერთი და არც მეორე,—უპასუხებს გიორგი.

— რატომ, კაცო?

— იმიტომ-რომ ხვალ ახლა სხვებს დაუდგამენ ყუთებს და კრება დიდხანს გასტანს.

— ?!?!!..

კენჭოსანი

## პასუხი „ჩოხოსანს“

უმორჩილესადა გთხოვთ ამ ჩემს მცირე შენიშვნას მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთში.

აღვიარებ საჯაროდ, რომ სალიტერატურო ასპარეზზედ ჩემს დღეში არც გამომილაშქრებია ამას გარდა და არც გამოლაშქრებას ვფიქრობ, მაგრამ ნათქვამია: „მეზობლის სიცილ-ტირილს შენც ბანი უნდა მისცეო“ და მეც როგორც ერთი ჩოხოსათაგანი, სწორედ ანდაზის მიმდევარი, ვიღებ ხელში კალამს, რათა „კვალის“ „ჩოხოსანს“ გამოვესაუბრო.

დავიწყებ იმითა, რომ კუდა-ბზიკობაზე ცუდი არა არის რა! „არა მკითხე მოამბე“-სავით, რომ გამოხტება ვინმე და ყველას მაგიერად, ქვეყნის ავ-კარგიანობაზე კამათს გაჰმართავს, როდესაც მისთვის ამ გვარის კამათის უფლება არამც თუ არავის არ მიუცია, არამედ ვერც ვერავინ მისცემდა, რადგანაც მას იცნობენ, როგორც მეჭორეს და ქარაფშუტას,—მაშინ ეს მისი ნიშანია მხოლოდ, რომ იმას, როგორც უგუნურს ჰეროსტრატს, ჰსურდა და ჰსურს რათიმე, თუ გინდ სისაძაგლით და დანაშაულობით გააცნოს თავი საზოგადოებას, საარაკოდ გახდეს!.. ამ გვარ გზას დასდგომია „კვალის“ ჩოხოსანი! მართალია, ის ვაჟბატონი თავის აზრებს ბოდვის შედეგს უწოდებს, მაგრამ, რადგანაც ბოდვა საჯაროდ გამოაშკარავა ამ ჟურნალმა „კვალმა“ და თანაც თ-დ. აკაკი წერეთელმა სხოლიო გაუკეთა, რითაც ცხადია ეს ბოდვა ნიჭიერ პოეტს ღირს სასმენლად ჩაუთვლია,—მეტი რა ჯანია, რომ უნდა ვუპასუხოთ!.

ერთი ეს მიბრძანეთ, ბ-ნო „კვალის“ ჩოხოსანო: „ვინ ამოგირჩიათ ყველა ჩოხოსანის მაგიერ მოლაპარაკე-ვექილად? რატომ თქვენზე მეტი ვერა ვგრძნობთ იმ დაცინვას და დამცირებას ჩოხოსნებისას ფრაკოსნების მხრივ, როგორზედაც თქვენა ბრძანებთ? სად დასცინეს მაგ გვარად? ვინ გაიგონა? ვის უთხრეს? ვინა სთქვა? როდის? რა მიზეზით? თქვენ მაგ თქვენის „ჭრელის ფიქრებით“ და ბოდვით ტვინი გამოგვილაყეთ. თუ მაგისთანა ქვეყნის ერთგული ბრძნდებით, თუ მაგდენი გესმოდათ—რათ უყურებდით გულ-ხელ დაკრეფილი უგუნურთა ფრაკოსანთა კამათს და ღირსეული პასუხი რაღ არ მიეცით იმ სამს უგუნურს და ეხლა-კი სულელის საუბარი საერთო ფრაკოსანთა ლაღადებათ გარდაგიქცევიათ და შემოგაქვთ ჩვენს შორის განხეთქილება? ან ვის დააჯერებთ მაგ გვარი მოგონილი ზღაპრებით? ვინ გაბედავს მოძმეთ ამ გვარ ჭკუაზე დაცილებულ, სულ მდაბალ, უგუნურ და უნამუსო დაცინებას? ვერავინ! ვერავინ! და თუ ვინმე პირახეული ადამიანი ამ გვარ ხმებს ავრცელებს ეს მისთვის, რომ ძმა-ძმას მოაშოროს, შვილი მამას, მეგობარი მეგობარს შეაჯახოს, შეაკლას და პირადი სარგებლობის ლუკმა გაიტანოს! აი, სისაძაგლე თქვენის მოძღვრებისა ბ-ნო, ქვეყნის ერთგულო ჩოხოსანო *)!..

რაღ დაივიწყეთ, რომ თუ ოდესმე რაიმე თქმულა ჩოხა-ქალამნიანთა შესახებ, თუ რომელიმე მათი მოქმედება გულის ტკივილით მოუხსენებიათ—ეს არც თქვენებრ კუდა-ბზიკა ჩოხოსანს შეჰხებია და არც რომელიმე შეგნებულ ქართველს, ჩოხოსანი იქნებოდა ის, თუ ფრაკოსანი,—არამედ ეს გულის ტკივილი შეეხებოდა იმ საზოგადოების ნაწილს, ცუდად გაცნობილს იმ საერთო საქმესთან, რომელიც თქვენ კუჭსა გწევავთ; იმ ნაწილს, რომლის შრომა-მეცადინეობა მხოლოდ ოჯახის საქმეებზე არის მიქცეული, მაგრამ რომელიც არა თავის სურვილის და შეგნების წინამძღოლობით, არამედ საზოგადო საქმის ერთგულთა მეთაურობით მათის ხარჯით ჩამოდიან და «არა უწყიან, რასა იქმნან“

გულზე ხელი დაიდეთ და, თუ კიდევ თქვენში დარჩენილა პატიოსნება, გვიპასუხეთ თქვენი ქადაგება შესახებ ამ გვარი ვაჟბატონებისათვის რკინის გზის მატარებლის ბილეთის ყიდვა და ჩამოყვანა ხომ სულის სიმდაბლეა, გრძნობის დამხობაა, ყოველივე ძვირფასის უარყოფაა?

ვინ არ იცის, რომ ყოველი ქართველი კაცი, შეგნებული და გულშემატკივარი საზოგადო საქმისათვის, თუ ბილეთს ვერ იშოვის,—ისევ ისე ძველებურად, ან თავისაზე, და ან მეზობლისაგან ნათხოვარს ცხენზედ შეჯდება და ისე მიეშველება იმ საქმეს; და თუ არა, სულ ქვეითადაც ჩამოვა და იმას-კი არ იკადრებს, რომ ვისმე ბილეთი ასყიდვინოს და ბინა დაგაქირავებინოს-რომ ამითი თავის შეგნება და ნება სხვისს განკარგულებას დაუმონოს და საზოგადო საქმე თქვენებურად გადასწყვიტოს!..

და თუ თქვენებურად იქცევა ის მაშინ საზოგადო საქმის ერთგული-კი აღარ არის,—თავის კუჭის ერთგულია და პირადი ანგარიშების ყურმოჭრილი ყმა!..

ეს ასეა და თუ თქვენ სხვანაირად სჯით—ეს იმას ამტკიცებს, რომ თქვენ, მიუხედავად საზოგადოების მსჯავრისა, შეგიძლიანთ ყოველივე ცუდს ხელი დააფაროთ და იძახოთ: აქ არის დიდებაო!..

აი, ამის მოხსენება მსურდა, ბ-ნო „კვალის“ ჩოხოსანო თქვენთვის და დიდს ბოდიშს ვიხდი, რომ პირდაპირ ვაცხადებ, ერთი რომ მე, როგორც ერთს ჩოხოსანს, თქვენთვის ჩემის მხრით ამისთანა უსაფუძვლო აზრების გავრცელების ნება არ მომიცია და დარწმუნებული ვარ ამ გვარი ნება არ მოუციათ თქვენთვის ჩემს გარდა კიდევ ათას და ათი-ათასსაც; მეორე რომ ყოველივე თქვენი ნაამბობი, შესახებ იმ ერთის შემთხვევისა, რომლის გმირადაც ვიღაც პირახეული ვანო ყოფილა, მიმაჩნია მოგონილად, უმართლოდ და უაზროდ და მესამე, რომ თქვენი მსჯელობა, შესახებ ბილეთის სხვისის ფულით ყიდვასა, შეადგენს ცხადს თქვენ მიერ უარ-ყოფას სიფაქიზის და ზნეობის პრინციპისას.

ერთი ჩოხოსანთაგანი

ს. ცხინვალი

*) ამას გარდა, ნეტა როდის აქეთი შეიქმნა სამარცხვინო სახელი ჩოხოსანისა, თუ ქუდოსანი შეიძლება, მანდილოსანი, ვეფხვისტყაოსანი, ჩოხოსანი რად-ღა უნდა იყოს საკიცხავი სახელი და სათაკილო?!.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა

## კორესპონდენცია

**დ. ზუგდიდი.** 5 მაისი. ჩვენი მაზრის უფროსად ნამყოფის ბ. ყიფიანის დიდის მეცადინეობით აქ დაარსდა შარშან ენკენისთვიდამ სამ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი, რომელიც როგორც სწავლა-განათლებისათვის არის საიმედო ისე მკვიდრთა მატერიალურად წარმატებისათვისაც. მაზრას რიცხვი მცხოვრებთა შეემატა და ამით ვაჭრობასაც, ცოტა არ იყოს, ხეირი დაეტყო.

ამ ჟამად სასწავლებელში სულ 255 მოწაფეა, რომელთა რიცხვი 1 იმერელია, ერთი გურული, ერთი რუსი, ერთი ნემეცი და დანარჩენი მეგრელი. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი კლასია გახსნილი (ხუთი განყოფილება).

ამ სასწავლებლისათვის ზუგდიდისა და ანაკლიის მკვიდრნი ყოველ წლივ იხდიან—2000 მან., მთავრობა ეხმარება წლიურად—1350 მანეთით და დანარჩენს 270 მან. იხდის თვით სასწავლებელი სწავლისათვის შეგირდებისაგან შემოტანილის ფულიდამ; ასე რომ სრული ხარჯი—3620 მან.—სასწავლებელს ჯერ-ჯერობით საძებარი არა აქვს-რა. სამწუხაროდ, ერთი რამ აკლია სასწავლებელს—შენობა.

როდესაც სასწავლებლის გახსნა განიზრახეს მოქალაქეთა, ვალად დაიდვეს მიწა უფასოდ დაეთმოთ სასწავლებლის შენობისათვის და სამეურნეო განყოფილებისათვის და შენობაც იმ გეგმით აეგოთ, როგორსაც მთავრობა უჩვენებდა. თუმცა მიწა ჯერ-ჯერობით საკმაოდ არის, მაგრამ შენობა-კი არსადაა. სახლი უნდა ყოფილიყო მზად წელს ენკენისთვეში. ეს სულ იმის ბრალია, რომ მოქალაქენი ამ საქმეში რამოდენიმე გუნდათ დაიყვნენ და ერთი მეორეს არ ეთანხმებიან... როგორც ამბობენ ახლა-კი, როგორც იყო ბ. მაზრის მმართველისათვის მიურთმევიათ გეგმა სასწავლებლის შენობისა. მაგრამ, ვაი თუ ამ გეგმასაც ის ბოლო მოელის—როგორიც ამას წინად წარდგენილ გეგმას ხვდა. აი მაგალითად: წარუდგინეს გეგმაც და ხარჯთ-აღრიცხვაც; მთავრობამ განიხილა, მოიწონა და გამოუცხადა მოქალაქეთ—ააშენეთ ამ გეგმაზე სახლიო... რაღაც ღმერთი გაწყრა, აღარ ეჭაშნიკათ მოქალაქეთ წინანდელი თვისი მოსაზრება და უარი ჰყვეს მას...

სასწავლებელი, ჯერ-ჯერობით,

ნაქირავებ სახლებში არის, რომელშიაც ახლაც ვერ თავ'დება და რა იქნება როდესაც წელს ენკენისთვეში ორი განყოფილება კიდევ მოემატება?

იმერელი

# რუსეთი

—

სასჯელო საქმეთა სამინისტროს დაუდგენია განსაზღრული რიცხვი ნაფიც ვექილებისა ყოველ სასამართლოს ოლქისათვის და ამასთან გადაუწყვეტია, შეუცვლელად დასტოვოს ძირეული დედა-აზრი სამოქალაქო საქმის წარმოებისა, რომლითაც მომჩივანთ უფლება აქვთ თვით იქონიონ დამოკიდებულება სასამართლოსთან, ვექილის უშუამავლოდ. ამას გარდა, სამინისტროს ისეთი წესი ჰსურს დააუგინოს, რომ მომჩივანს აღარ დასჭირდეს ვექილის მოძებნა, მოლაპარაკება იმასთან სასყიდელის შესახებ და სხ. ვისაც ნაფიცი ვექილი ენდომება, უნდა მიჰმართოს ნაფიც ვექილთა საბჭოს. ეს საბჭო მიანდობს იმ კაცის საქმეს ერთს რომელსამე თავისს წევრთაგანს და თითონვე აღნიშნავს კანონიერს სასყიდელს. ეს უკანასკნელი წესიო, ამბობენ რუსეთის გაზეთები, ალბად სავალდებულოთ არ იქმნება, მხოლოდ დადგენილი იქნება იმად, რომ სასამართლოში საქმის დამწყებს შეეძლოს მისით სარგებლობა.

—

ამ გაზაფხულზედ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს რუსეთის იმპერიის სხვა-და-სხვა ნაწილში რამდენიმე საცდელი მინდორი გააშენოს და სასოფლო სამეურნეო სამეტეოროლოგიო სადგური გაჰმართოს. ეს დაწესებულებანი საუცხოოდ იქნება გამართული და გამოიკვლევენ: ტაროს-ნიადაგს, და ჰავას, ბუნების მოკლებით, სითბო-სიცივესა და სინესტეს ნიადაგისას, აგრეთვე სცდიან სხვა-და-სხვა მცენარეს. ამ საცდელ მინდვრების შემუშავების დროს დიდი ყურადღება ექნება აგრეთვე მიქცეული სამეურნეო მანქანების გამოყენებას.

# გასართობი

—

ყველამ უწყის, რომ ვოლტერი დიდი მახვილი კაცი იყო და მისი სიმახვილე აზრითა და ძალით სავსე... ყველა მორიდებულად საუბრობდა, თუ-კი ვოლტერი იქ ეგულებოდათ. ამ სიფრთხილეს ხმარობდნენ ისეთი გამოჩენილნიც, როგორიც მაგალითად ჟ. ჟ. რუსო, რომლის თითქმის ყოველ სიტყვას ვოლტერი კილს უპოვნიდა ხოლმე და იმახვილებდა, მაგრამ გაუჩნდა იმასაც, როგორც კბილის მატლი ერთი ახალგაზდა, რომელიც სულს აღარ ათქმევინებდა ვოლტერს: თითქმის ყოველს სიტყვაში იჭერდა და მახვილობდა. იმ ზომამდე მიაღწევინა ვოლტერს ამ „უბრალო მეფელეტონემ“, რომ ვოლტერმა გამოაცხადა: „სადაც ის იქნება—იქ მე არ მივალო!..“

ერთმა ხნიერმა მანდილოსანმა წვეულება გაჰმართა, რომელზედაც მხოლოდ ლიტერატორნი უნდა ჰყოფილიყვნენ; როდესაც მანდილოსანი ვოლტერთან მივიდა და დაჰპატიჟა—იმან იკითხა:

— ის მახვილი ვაჟ-ბატონი მიწვეული გყავთ?

— დიაღ, ბატონო, რადგანაც ის ჩემი ბიძაშვილია.

— მაშ მე ვერ მოვალ!..

შეწუხდა მანდილოსანი და თავის ბიძაშვილს შეატყობინა ეს ამბავი. ამ უკანასკნელმა სთქვა:

— წადი და იშუამდგომლე ვოლტერთან, რომ მხოლოდ ერთი მახვილობის ნება მომცეს და მეტი თუ გავბედე, გამომაგდეთ...

ვოლტერი დასთანხმდა.

სადილზედ კიბო შემოიტანეს. ვოლტერმა ძლიერ ბევრი აიღო და ჭამა დაუწყო; როდესაც მორჩა, სთქვა:

— გავაწყვე ეს კიბო სწორედ ისე, როგორც სამსონმა გააწყო ფილისტიმლიანებიო.

— დიაღ, მოასწრო ახალგაზდა მახვილმა: —გააწყვე სწორედ და იმავე ყბებით, როგორითაც სამსონმა იგინი გააწყოო.

**

კამათი, შესახებ სიკვდილით დასჯისა ფრანგთა პარლამენტში, დაბოლოვდა ერთის სასაცილო ამბით:

ის-ის იყო კამათი თავდებოდა და ჯერი მოადგა დაუყოვნებლივ განეხილათ წინადადება რეინაკისა, როდესაც დიუვალ მილფე, ერთი ხათაბალა და დაუდგრომელი კაცი წამოვარდა, როგორც გველ-ნაკბენი და მიაძახა რეინაკს: მაიმუნო, მაიმუნო, მაიმუნო!..

პარლამენტს, რომელიც საზოგადოდ ამ დღეს მხიარულ გუნებაზე იყო, საშინელი სიცილი აუტყდა, მაგრამ პრეზიდენტმა დიუპუიმ სასტიკად შენიშნა დიუვალს:

— გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, აღარ უწოდოთ ეგრე თქვენს ამხანაგებს!

მაშინ ყველა დეპუტატებს კიდევ საშინელი სიცილი აუტყდათ, ასე გათავდა სხდომა პატივცემულ კანონ-მდებელთა ამისთანა სამძიმო კითხვის შესახებ.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

თქვენის გაზეთის „ივერიის“ № 93-ის ახალ ამბებში დ. ახალსენაკიდამ, სხვათა შორის, სწერია: „ჩვენი დედათა სასწავლებელი, ერთი კვირაა რაც დაკეტილია, თუმცა-და მასწავლებელი დანიშნული გვყავს“. ვინც საქმის გარემოება არ იცის, შესაძლოა იფიქროს, რომ ვითომც მე, რომელისამე შეუწყნარებელის მიზეზის გამო, არ მივდივარ სასწავლებელში. ნამდვილად-კი საქმე ასე იყო: დირექტორის ნება-რთვით დათხოვნილი ვიყავ ოცის დღის ვადით ოცდაოთხ აპრილამდე და ამიტომ სწავლა შეჩერებულ იქმნა სასწავლებელში. თუმცა ამ სახით ნება მქონდა და ჩემი გარემოებაც თხოულობდა, რომ კიდევ ორი კვირა არ მევლო სასწავლებელში, მაგრამ მაინც არ შემიწყვეტია სწავლა ამ ხანში.

დ. ახალ-სენაკის დედათა სასწავლებლის მასწავლებელი მარიამ ბერიძის ასული მიქაძისა

—

ამას წინად კინაღამ ერთი საცოდაობა დატრიალდა აჭარის რკინის გზის სადგურზედ. დედას გაესტუმრებინა ტფილისიდგან ორი თავისი ბავშვი გორს, ერთი 13 და მეორე—7 წლისა. უფროსისათვის ბილეთი აეღო და უნცროსი-კი, წესისამებრ, უბილეთოდ გაეგზავნა. კონდუქტორს, რომლის გვარიც არის მ—ძე, არ შეეწყნარებინა ასეთი საქმე და უნცროსი უმაწვილი აჭარაში გადმოეყვანა ვაგონიდამ. უმაწვილებს ბევრი ეტირნათ, მაგრამ ტირილსა და ცრემლს ვერ მოელბო გული გარკინებულის რკინის გზის მოხელესი. ორივე ბავშვი დასდგომოდნენ ლიანდაგს და რის ვაი-ვაგლახით და გულის ტრიალით ჩამოსულიყვნენ ტფილისში, სადგურზედვე. აქ დასდგომოდნენ ცხენის რკინის გზის ლიანდაგს, ჩამოსულიყვნენ ვარანცოვის ძეგლამდის და მაშინ ძლივს მოესაზრად ბინა თავიანთი მშობლისა. წარმოიდგინეთ გაოცება და შიშის თავ-ზარი დედისა, როცა დაენახა თავისი მცირე წლოვანი უმაწვილები, ატირებულნი და გულ-გახეთქილნი. რა ამბავია ესა? განა ასეთი უგანოობა, ასეთი გულქვაობა და უსვინიდისობაც გაგონილა და ქმნილა? ხუ თუ სირცხვილი არ არის, რომ ასე მოექცეს ვინმე უმაწვილებს და საკუთარის ინტერესის გულისთვის გასწიროს ორი უდანაშაულო მცირე-წლოვანი უმაწვილი?! მართალია, არც მშობელია გასამართლებელი, რომ შვილები ასე უპატრონოდ გაუსტუმრებია შორს გზაზედ, მაგრამ რა გაამართლებს იმ კონდუქტორს, რომელმაც ისე უდანაშაულოდ, ისე გულ-ქვად გადაჭყარა უმაწვილები ვაგონიდამ და დასტოვა აჭარაში უმწეოდ და უპატრონოდ?.

დ. დიდ-ლიახველი

# დეპეშა

11 მაისი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოში შეტანილ იქმნა სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესდების ზოგიერთ ცვლილებათა პროექტი.

**ირკუტსკი.** დღეს დილის სამს საათზედ დარჩობით დასაჯეს პოველიაევი, მოზგოვოი და ფრიდმანი, რომელთაც სამხედრო სასამართლომ 21 მაისს სიკვდილი განუჩინა პეტროვების ოჯახის დახოცვისათვის.

**პარიზი.** აქ იმ აზრისანი არიან, რომ ახალის კაბინეტის შედგენა ბურჟუას ექმნება მინდობილიო.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

მ. ი. ფრანცუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერიფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



**ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობისაგან.**

ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა ამით აუწყებს სემინარიის იმ შეგირდებს, რომელთაც ქაღალდი წარმოადგინეს და ითხოვეს, კვლავ მიგვიღეთ სემინარიაშიო, რომ ყველა შეგირდები, უწმ. სინოდის ბრძანებისამებრ 1894 წლის 31 იანვრის თარიღით და 457 №-ით, მოვალე სამოსწავლო წლიდამ, $189^4/_5$-დამ, მოვალენი არიან იცხოვრონ იმ პანსიონში, რომლის დაარსებასაც აპირობს სემინარიის მთავრობა; ვინც თავის ხარჯით იყო და იქნება სემინარიაში, იმან უნდა შემოიტანოს თავის შესანახად წელიწადში 100 მან. აქედამ 90 მან. შესანახი, (ფეხსაცმელსა და ტანისამოსს გარდა) და 10 მან. წიგნებისა და საწერ-კალამ-ქაღალდისათვის. ფული უნდა შეტანილ იქმნას სამს ვადაზედ, ასე: სექტემბერში—40 მან., იანვარში—30 მან. და აპრილში—30 მან. ამისათვის იმ შეგირდებმა, რომელთაც შეუძლიანთ შემოტანაზე მოხსენებულის ფულისა თავიანთ შესანახად პანსიონში, უნდა ცალკე ქაღალდი მიართვან სემინარიის მმართველობას ამ წლის 10 ივნისამდე. (2—2)



**„ქართული თეატრის არტისტების მოგზაურობა“**

ტფილისის ქართულ თეატრის ამხანაგობა

კალერ. გუნიას გამგეობით

გამართავს რამდენსამე წარმოდგენას

1 მაისიდგან

ქალ. ფოთსა და ბათომში.

დასს შეადგენენ: კნ. ბარბარე ავალიშვილისა, ბარბარე მაქსიმიძისა, ნატ. რჩეულიშვილისა, ბ-ნნი კონ. ყიფიანი, ვლად. ალექსივ-მესხიშვილი ვასილ აბაშიძე, ვალ. გუნია, სვიმ. სვიმონიძე კონსტ. შათირიშვილი, გრიგ. აბაშიძე, კონსტ. გალუსტოვი, ალექს. თამაზიშვილი და სხვანი.

რეპერტუარი: და-ძმა ისტ. დრამა მეგრელთ ცხოვრებიდგან 5 მოქ. ვალ. გუნიასი, გამწარებული ცხოვრება კომ. 4 მოქ. გადმოკ. ივ. კერესელიძისაგან, სტუმარი დრამა 4 მოქ. ბრანდესისა, ცხოვრება დრამ. სურათები 2 მოქმედ. ვ. გუნიასი, ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში, კომ. ფარსი 3 მოქმედ. გიორგი აბაზაძისა, შეშლილია დრ. 3 მოქ. თარგ. აბაშიძისა, კაის გაგეგარე ვის შეეგეარე ფარსი 3 მოქ. ვოდევილები: ხოლჯერობა, ახირებულია, დატრიალდა ჯვარა, არც აქეთ არც იქეთ, და სხვა.

ადგილების ფასი 3 მან. მოყოლებული ვიდრე 50 კაპეიკამდე“.

ბილეთების მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ამხანაგობის ხაზინადარს თავ. ნიკ. დავ. აბაშიძეს.

ამხანაგობის გამგებელი ვალ. გუნია

(5—5)



**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—193)



გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

**საპონი**

პროვიზორი

**ა. მ. ოსტროუმოვისა**

სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(20—13)






ტფილისში ა. არისტაკოვის საafთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.



**„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| ოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.